შეზღუდული პასუხისმგებლობი საზოგადოება

დენტალმარკეტი

ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს დენტალმარკეტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	509185	480784	368869
არამატერიალური აქტივები		1250	1250	1250
სულ გრძელვადიანი აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები		510435	482034	370119
ფული და ფულის ექვივალენტი	4	259080	249480	163863
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	411655	259302	126466
მარაგები	6	1503871	1757769	1356444
გაცემული სესხები		-	-	-
საგადასახადო აქტივი		107214	95367	98377
მისაღები პროცენტები				
სულ მოკლევადიანი აქტივები		2 281 821	2 361 918	1 745 151
სულ აქტივები		2 792 256	2 843 951	2 115 270
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		2 208 111	1 977 341	1 515 777
სულ კაპიტალი		2 208 111	1 977 341	1 515 777
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	7	207 569	336 170	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	376576	530440	599493
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	209607
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		376576	530440	599493
სულ ვალდებულებები		584145	866611	599493
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2 792 256	2 843 951	2 115 270

ირაკლი მაჭავარიანი
დირექტორი

ნანა ლომია
მთავარი ბუღალტერი

შპს „დენტალმარკეტი“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	შენიშვნა	**31 დეკემბერი2019**	**31 დეკემბერი2018**	**31 დეკემბერი2017**
ამონაგები	9	3068640	3704604	2479090
თვითღირებულება	10	(2171448)	(2782435)	(1818493)
საოპერაციო შემოსავალი		**897 192**	**922 169**	**660 597**
სხვა შემოსავლები		49921	176066	-
ადმინისრაციული ხარჯები	12	(372536)	(332398)	(273599)
მიწოდების ხარჯები	11	(19792)	(27078)	-
სხვა შემოსულობები/ზარალი		(29481)	(26931)	(86887)
სხვა ხარჯები	15	(170322)	(4805)	-
საოპერაციო მოგება		**354 981**	**707 023**	**300 112**
ფინანსური შემოსავალი	14	2490	-	-
ფინანსური ხარჯები	13	(21437)	(15985)	(491)
ფინანსური ხარჯი-წმინდა		**(18 947)**	**(15 985)**	**(491)**
მოგება დაბეგვრამდე		**336 034**	**691 038**	**299 621**
მოგების გადასახადი		-	-	-
წმინდა მოგება		**336 034**	**691 038**	**299 621**
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**336 034**	**691 038**	**299 621**

ირაკლი მაჭავარიანი

დირექტორი

შპს "დენტალმარკეტი" 205294073 "DENTALMARKET" LTD

ნანა ლომია

მთავარი ბუღალტერი

შპს დენტალმარკეტი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 01/01/2018		-	1 515 777	1 515 777
წლის მოგება			691 038	691 038
გადახდილი დივიდენდი			(229 474)	(229 474)
კაპიტალის ზრდა/(კლება)				
ბალანსი 12/31/2018		-	1 977 341	1 977 341
წლის მოგება			336 034	336 034
გადახდილი დივიდენდი			(105 263)	(105 263)
კაპიტალის ზრდა/(კლება)				
ბალანსი 12/31/2019		-	2 208 111	2 208 111

ირაკლი მაჭავარიანი
დირექტორი

შპს "დენტალმარკეტ" 205294073 "DENTALMARKET" LTD

ნანა ლომია
მთავარი ბუღალტერი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მირებული ფულადი სახსრები	2 876 701	3 769 744
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	61 007	504
ზარალის დასაფარავად(ზიანის ასანაზღაურებლად)მიღებული თანხები	2 488	-
მიმწოდებელზე გაცემული ფულადი სახსრები	(2 060 041)	(2 995 015)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(323 381)	(253 893)
სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება	(48 873)	(66 335)
გადახდილი გადასახადები(მოგების გადასახადის გარდა)	(202 149)	(164 141)
გადახდილი მოგების გადასახადი		
საოპერაციო საქმიანობასტან დაკავშირებული სხვა გაცემები	(35 031)	(57 797)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საოპერაციო საქმიანოიდან	**270 720**	**233 067**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(232 616)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გასვლიდან შემოსულობანი		4565
მიღებული პროცენტები		
მიღებული დივიდენდები		
სხვა შემოსულობანი/განაცემები საინვ.საქმიანობიდან(ნეტო)		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საინვესტიციო საქმიანობიდან		**(228 051)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
შემოსულობანი აქციების ემისიისაგან/ კაპიტალის ზრდისაგან		
საკუთარი აქციების გამოსყიდვა/გაცემები კაპიტალის შემცირების გამო		
სესხის აღება	136 000	420 423
სესხის დაფარვა	(273 482)	(97030)
გადახდილი პროცენტები	(21 437)	(15 985)
გადახდილი დივიდენდები	(100 000)	(218 000)
სხვა შემოსულობანი/გაცემები საფინანსო საქმიანობიდან(ნეტო)		(2185)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საფინანსო საქმიანობოდან	**(258 919)**	**87 223**
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა/კლება(ნეტო)	(2201)	(6623)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი:	9600	85617
ფულადი სახსრები(ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	249480	163863
ფულადი სახსრები(ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსთვის:	259080	249480

ირაკლი მაჭავარიანი
დირექტორი

ნანა ლომია
მთავარი ბუღალტერი

1. ანგარიშის წარმდგენი პირი

შპს „დენტალმერკეტი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანია“ დაარსდა 2009 წელს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ.ყაზბეგის გამზირი.#24 ბ.232. ფაქტობრივი მისამართია : საქართველო, თბილისი , დავით აღმაშენებლის 124.

კომპანიის მფლობელები არიან:

- ირაკლი მაჭავარიანი 50%
- ლევან თორთლაძე 50%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სტომატოლოგიური საქონლით საბითუმო და საცალო ვაჭრობა, დამატებითად ეწევა სტომატოლოგიურ მომსახურებას . 2019 წელს კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობამ შეადგინა 20 თანამშრომელი.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“მსს ფასს”) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით -ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

2020 წლის თებერვლიდან ქვეყანაში არსებული პანდემიური სიტუაციის შედეგად 2020 წლის 21 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული იქნა საგანგებო მდგომარეობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და აგრეთვე შეზღუდული იყო გარკვეული სახის ეკონომიკური საქმიანობის წარმოება. ყოველივე ამან გამოიწვია კომპანიის გაყიდვების შემცირება, თუმცა კომპანიამ შეძლო საერთო მოგების მარჟის შენარჩუნება. კომპანიას გააჩნია დადებითი საბრუნავი კაპიტალი, რომელიც ნაწილობრივ დაფინანსდა სესხების ზრდით, ამის მიუხედავად კომპანიის მთლიანი აქტივები აჭარბებს მთლიან ვალდებულებებს. კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას და კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განავითარონ მისი საქმიანობა.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანია მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხორციელდება გადაფასებული ღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები არ განეკუთვნება ისეთი აქტივების კატეგორიას, რომელთა ღირებულებებიც ხშირად იცვლება.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების

გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს, გარდა გუდვილისა, აქვს განსაზღვრული ექსპლუატაციის ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და მინერალური რესურსების მოპოვების ლიცენზიებს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება შემცირებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე ექსპლუატაციის პერიოდში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი				
	აშშ დოლარი	ევრო	შვეიცარული ფრანკი	ფუნტი სტერლინგი	რუსული რუბლი
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,8677	3,2095	2,9488	3,7593	0.046423
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6766	3,0701	2,7268	3,3955	0.038588
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,5922	3,1044	2,6584	3,5005	0.044935

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

მოგების გადასახდი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98^1-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე

დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს საღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.
2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, ე.წ. ესტონური მოდელი.მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება: 1)დივიდენდის განაწილება, 2)სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო

ფასს შორის, 3) ხარჯები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, 4) გადახდები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, 5) უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება, 6) წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ.

დივიდენდი იბეგრება გადახდის მომენტში, თუ ის ნაწილდება ფიზიკურ პირზე, არაკომერციულ იურიდიულ პირზე, არარეზიდენტზე ან მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ საწარმოზე. დივიდენდი არ იბეგრება იმ შემთხვევაში, თუ ის ნაწილდება საწარმოზე, რომელიც გადასულია დაბეგვრის ახალ მოდელზე. იგივე წესები მოქმედებს მიღებული დივიდენდის ხელახლა განაწილებისას. განაწილებული დივიდენდის დაბეგვრისას მნიშვნელობა არ აქვს მოგების მიღების წელს, თუმცა ორმაგად დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად, საწარმოს უფლება აქვს სრულად ან ნაწილობრივ ჩაითვალოს ადრე დარიცხული და გადახდილი ყოველწლიური მოგების გადასახადი 2008-2016 წლების წმინდა მოგების განაწილებისას.

ავანსები

ავანსები წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. ავანსი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როცა ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თვითონ კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივად აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და აშკარა გახდება რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები იქნება მიღებული. თუ არის მინიშნება, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურებები არ იქნება მიღებული, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისად აღიარდება გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი წლის მოგებასა ან ზარალში.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებით. სასაქონლო მატერილაური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი, მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. შეძენის დანახარჯების დათვლისას გაანგარიშებული თანხა შემცირდება სავაჭრო დათმობის, სხვადასხვა სახის ფასდათმობისა და სხვა ანალოგიური მუხლების ღირებულებით.

შემოსავლები

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს

ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცრებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებების იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი

ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

2.1. **ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ**

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებუულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი, ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისაგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას

ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას, ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილება საგადასახადო კანონდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობას ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ

გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშნელოვანი დამატებითი გადასახადები,ჯარიმები და საურავები. საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ,საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია,რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიას საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

3. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	შენობა ნაგებობა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სარეკლამო საშუალებები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	534 688	53570	27694	49078	39209	704240
შეძენა	28623	8525	4792	-	-	41940
გასვლა		4703	-	-	-	4703
2019 წლის 31 დეკემბერი	563 311	57 392	32 486	49 078	39 209	741477
ცვეთა და ამორტიზაცია						
2018 წლის 31 დეკემბერი	154 959	38 411	17 945	-	12 112	223 456
ცვეთა წლის მანძილზე	28 166	1 437		-	4 373	33 975
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	25140	-	-	-	25 140
2019 წლის 31 დეკემბერი	183 124	14 738	17 945	-	16 485	232 291
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2018 წლის 31 დეკემბერი	379 729	15 129	9 749	49 078	27 097	480 784
2019 წლის 31 დეკემბერი	380 186	42 654	14 542	49 078	22 725	509 185

2019 წლის მდგომარეობით კომპანიას მის ბალანსზე არსებული შენობა ნაგებობები გამოყენებული აქვს სესხის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	215340	112370	78525
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	43671	54026	66489
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	69	83084	18849
სულ	**259080**	**249480**	**163863**

ფულისა და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისათვის.

5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო მოთხოვნები	578589	256930	120974
საეჭვო მოთხოვნების კორექტირება	(170322)		
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	2839	2372	
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	550		5492
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**411 656**	**259 302**	**126 466**

წინა წლის ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების მუხლი წარდგენილია შეცდომით, კომპანიის მიერ მოხდა აღნიშნული შეცდომების გასწორება . 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების მუხლი წარდგენილი იყო შესაბამისად 71023 ლარი და 122633 ლარი, სხვაობამ შეადგინა 31.12.2018 წლისთვის 188279 ლარი, ხოლო 31.12.2017 წლისთვის 3833 ლარი. კომპანიამ აღიარა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი 170 322 ლარის ოდენობით.

6. მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საქონელი	1 493 609	1 751 041	1356299
ნედლეული და მასალები	10262	3728	145
სულ მარაგები:	**1 503 871**	**1 757 769**	**1 356 444**

7. სესხები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ბანკის სესხები	207569	336170	0
სულ:	**207569**	**336170**	**0**

ქვემოთ მოცემულია სესხის ანალიზი და ვალდებულებების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან შესაბამისი პერიოდისათვის:

სესხები

	2019	2018
საწყისი ნაშთი	336 170	0
საპროცენტო ხარჯი	21437	15 985
მიღებული სესხი	136000	420 423
ძირი თანხის გადახდა	(273482)	(97 030)
გადახდილი პროცენტი	(21437)	(15 985)
დგადაფასების ეფექტი	8881	12777
	207569	**336 170**

სესხები მიღებულია საბანკო ინსიტუტებისგან , რომელიც დენომირებულია აშშ დოლარში და ლარში. საპროცენტო განაკვეთი დოლარში დენომირებულ სესხზე შეადგენს წლიურ 8%-ს, ხოლო ლარში დენომირებულ სესხზე წლიურ 11-11,5%-ს. დაფარვის ვადა არის 2020 წლის აგვისტოდან 2021 წლის ივნისამდე . ყველა საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს უძრავი ქონებით, კერძოდ იპოთეკით დატვირთულია: ფართი 170,77კვ. და სათავსი 23,04 კვ.მ .მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისათვის.

8. საავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო ვალდებულებები	372040	432547	599193
მიღებული ავანსები	4354	96813	300
გადასახდელი ხელფასები	182	1080	
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	**376 576**	**530 440**	**599493**

მომწოდებლებთან ძირითადად ხელშეკრულებები დადებულია უცხოურ ვალუტაში, ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან აღრიცხულია უცხოურ ვალუტაში და შესაბამისად ეროვნულ კურსით გადაყვანილი ლარებში, წინა წლის ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების მუხლი წარდგენილია

შეცდომით, რაც გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთი მომწოდებლის ბრუნვითი უწყისის ბარათზე დარიცხვები და ჩარიცხული თანხები არ არის აღრიცხული ორივე ვალუტაში, შესაბამისად კრედიტორული დავალიანება უცხოურ ვალუტაში და ეროვნულ ვალუტაში იყო აცდენილი, კომპანიის მიერ მოხდა აღნიშნული შეცდომების გასწორება . 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების მუხლი წარდგენილი იყო შესაბამისად 406358 ლარი და 464109 ლარი, სხვაობამ შეადგინა 31.12.2018 წლისთვის 124082 ლარი, ხოლო 31.12.2017 წლისთვის 135384 ლარი.

9. შემოსავალი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
შემოსავალი რეალიზაციიდან	3081205	3803679	3704604
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-	-
სულ	**3 081 205**	**3 803 679**	**3 704 604**

10. თვითღირებულება

	2019	2018	2017
ძირითადი მასალების დანახარჯები	2023383	2557965	1763367
შრომის ანაზღაურება	136095	108556	41122
საწარმოო დანიშნულების ძირ.საშ.ცვეთა	11970	115914	14003
სხვა ხარჯი			
სულ	**2171445**	**2782435**	**181492**

11. მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები

	2019	2018	2017
რეკლამის ხარჯები	8623	12155	
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	-	4676	
საწვავის ხარჯი	11169	10248	9834
სულ	**197924**	**27078**	**9834**

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	210578	193221
საპენსიო ანარიცხები	6842	--
იჯარის ხარჯი	7200	7475
კომუნალური ხარჯები	7028	5330
ოფისის შენახვის ხარჯები	5190	2563
მიმდინარე რემონტის ხარჯი	43840	5375
სამივლინებო ხარჯები	48873	66335
დაზღვევა	10667	3485
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	1829	205
ბანკის საკომისიო ხარჯი	6556	10956
სხვა საგადასახადო ხარჯი	3956	3887
სხვა ხარჯები	19977	33566
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**372537**	**332398**

13. ფინანსური ხარჯი

	2019	2018
საპროცენტო ხარჯები	21437	15985
სულ	**21437**	15985

14. ფინანსური შემოსავალი

	2019	2018
სხვა ფინანსური შემოსავლები	2490	-
სულ	**2490**	-

15. სხვა ხარჯები

	2019	20187
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	170322	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		4787
სულ	170322	**4805**

სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის

რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;

ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით,;

საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ძირითადად,

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი,

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული და ფულის ექვივალენტი	259080	249480	163863
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	411655	259302	126466
გაცემული სესხები	-	-	-
მთლიანი ფინანსური აქტივები	**670 735**	**508 782**	**290 329**
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(376576)	(530440)	(599493)
მიღებული სესხები	(207569)	(336170)	-
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**(584145)**	**(866610)**	**(599493)**

რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე, კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად. ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის, რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად, რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად, კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ლიკვიდურობის ცხრილი 2019 წლის 31 დეკემბრისთის:

	1 წელზე ნაკლები	1დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტი	259080	-	-	259080
სავჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	411655	-	-	411655
აქტივები	**670735**	-	-	**670735**
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	376576			376576
მიღებული სესხები		207569	--	207569
ვალდებულებები	**(376576)**	**(207569)**	-	**(584145)**
ლიკვიდურობის პოზიცია		-	-	

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე, საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე,

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო, კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები, საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული,ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე,

სასამართლო პროცესები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები.ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ ჰქონია ადგილი მნიშვნელოვან მაკორექტირებელ და არამაკორექტირებელ მოვლენებს.